ჰიბრიდული ომის გავლენა საქართველოში მიმდინარე შიდაპოლიტიკურ პროცესებზე

ამირან ბიჭაშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის,
პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი
a.bichashvili93@gmail.com
ORCID iD: https://orcid.org/0009-0001-9218-2037
DOI: 10.52340/splogos.2026.01.27

აბსტრაქტი

ჰიბრიდული ომი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა. მისი ზეგავლენა განსაკუთრებით საგრძნობია ტერიტორიულად პატარა სახელმწიფოებზე, რომლებიც მოწყვლადნი არიან გეოპოლიტიკური თვალსაზრისით. აღნიშნული ომის ფორმა მოიცავს სამხედრო, საინფორმაციო, ეკონომიკურ, კიბერუსაფრთხოებისა და კულტურულ ზეწოლის მექანიზმებს, რომლებიც მიზნად ისახავს არა მხოლოდ სახელმწიფო სუვერენიტეტის შესუსტებას, არამედ შიდაპოლიტიკური სისტემის დესტაბილიზაციასაც.

საინფორმაციო მანიპულაციები და დეზინფორმაციული კომპანიები განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი კომპონენტია, რადგან ისინი ხელს უწყობს პოლიტიკური პოლარიზაციის გაღრმავებას და საზოგადოებაში დაპირისპირების გაძლიერებას. შედეგად, ფერხდება დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირება, ქვეითდება პოლიტიკური პროცესებისადმი ნდობა და რთული ხდება საზოგადოებრივი კონსენსუსის ჩამოყალიბება. ეკონომიკური ბერკეტების გამოყენება, მათ შორის ენერგორესურსებზე დამოკიდებულება და სავაჭრო შეზღუდვები, პირდაპირ აისახება როგორც ქვეყნის შიდა ეკონომიკურ სტაბილურობაზე, ისე საგარეო-პოლიტიკურ კურსზე.

სტატია მიზნად ისახავს საქართველოს შიდაპოლიტიკურ პროცესებზე ჰიბრიდული ომის გავლენის კომპლექსური ანალიზის ჩატარებას. განხილულია, თუ როგორ გამოიყენება საინფორმაციო და ეკონომიკური ინსტრუმენტები პოლიტიკური დღის წესრიგის ფორმირებაში და რა ზეგავლენას ახდენს ეს

პროცესები ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პროცესზე. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია საზოგადოებრივი ნდობის კრიზისზე და დასავლურ ინსტიტუტებში ინტეგრაციის ფაქტორებზე.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ჰიბრიდული ომის პირობებში საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესია ინსტიტუციური მედეგობის გაძლიერება, კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, რათა შესაძლებელი გახდეს გარეზეწოლის შემცირება და დემოკრატიული პროცესების მდგრადი განვითარება.

საკვანძო სიტყვები: ჰიბრიდული ომი, პროპაგანდა, დეზინფორმაცია, საინფორმაციო ოპერაციები, საერთაშორისო უსაფრთხოება.

The Impact of Hybrid Warfare on the Ongoing Domestic Political Processes in Georgia

Amiran Bichashvili
PhD Student of Political Science,
Faculty of Social Sciences,
Caucasus International University
a.bichashvili93@gmail.com
ORCID iD: https://orcid.org/0009-0001-9218-2037

Abstract

Hybrid warfare has emerged as one of the key challenges in contemporary international relations, exerting a particularly strong influence on small and geopolitically vulnerable states. This form of warfare encompasses military, informational, economic, cyber, and cultural instruments designed not only to undermine state sovereignty but also to destabilize domestic political systems.

Disinformation campaigns and informational manipulations constitute a critical component of these tactics, as they intensify political polarization and deepen social disagreement. As a result, the functioning of democratic institutions slows down, trust in political processes declines, and the formation of a broad social consensus becomes increasingly difficult. The use of economic levers, including energy dependence and

sanctions in trade, impacts both Georgia's internal economic stability and its foreign political orientation.

This article aims to provide a comprehensive analysis of the impact of hybrid warfare on Georgia's internal political processes. It examines how informational and economic instruments are employed to shape the political agenda and explores the implications of these dynamics for the country's democratic development. Particular attention is given to the crisis of public trust and the effects on Georgia's Euro-Atlantic integration trajectory. The findings suggest that under conditions of hybrid warfare, Georgia must strengthen resilience, protect critical infrastructure, and enhance public awareness in order to mitigate external pressure and ensure the sustainable development of democratic processes.

Keywords: Hybrid Warfare, Disinformation, Propaganda, Informational Operations, International Security.

შესავალი

XXI საუკუნეში ჰიბრიდული ომი თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა. იგი არ არის მხოლოდ სამხედრო ოპერაციების ტრადიციული გაგრძელება, არამედ მოიცავს ინსტრუმენტების მრავალფეროვან სპექტრს, რომელიც ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და მიზნად ისახავს მოწინააღმდეგის შიდასტაბილურობის შერყევას. ასეთ ინსტრუმენტებს შორის აღსანიშნავია საინფორმაციო ომი, კიბერშეტევები, ეკონომიკური ზეწოლა, დიპლომატიური ბერკეტების გამოყენება და კულტურულ-სამართლებრივი მანიპულაციები. ამგვარი „გახანგრძლივებული ომის" მეთოდი განსაკუთრებით ეფექტიანად გამოიყენება იმ ქვეყნებთან მიმართებით, რომელთაც აქვთ შედარებით სუსტი ინსტიტუციური გარემო და მაღალი მოწყვლადობა გარესაფრთხეების მიმართ.[296]

საქართველოსთვის ჰიბრიდული ომის თემა განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია, რადგან ქვეყანა გეოპოლიტიკურად მდებარეობს

[296] Hoffman F. G "*Conflict in the 21st Century: The Rise of Hybrid Wars*" (2007) Arlington: Potomac Institute for Policy Studies.

სტრატეგიულ სივრცეში. ქვეყანა ისტორიულადაც დიდ სახელმწიფოთა შორის დაპირისპირების საგანს წარმოადგენდა. საქართველოს ევროკავშირსა და ნატოსთან დაახლოების პოლიტიკა, ერთი მხრივ, ზრდის ქვეყნის საერთაშორისო როლს, ხოლო, მეორე მხრივ, აძლიერებს არაერთ საფრთხეს, რომლებიც მოდის რუსეთის ფედერაციიდან. სწორედ რუსეთია ის მთავარი ძალა, რომელიც ჰიბრიდული ომის ინსტრუმენტებს სისტემატურად იყენებს საქართველოს წინააღმდეგ.[297]

მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „ჰიბრიდული ომი“ ფართო და ზოგჯერ არაერთმნიშვნელოვნად განმარტებადია, მკვლევართა დიდი ნაწილი თანხმდება, რომ მისი არსი მდგომარეობს სამხედრო და არასამხედრო მეთოდების სინთეზში, რომელიც მიმართულია მოწინააღმდეგის პოლიტიკური ნების შესუსტებისკენ[298]. საქართველოს შემთხვევაში, სამხედრო ზეწოლასთან ერთად (2008 წლის ომი, ოკუპაცია და ბორდერიზაციის პროცესი) განსაკუთრებით თვალსაჩინოა საინფორმაციო და პოლიტიკური მანიპულაციები, რომლებიც მიზნად ისახავს საზოგადოების პოლარიზაციის გაღრმავებას და დასავლური კურსის დისკრედიტაციას.[299]

ამ კონტექსტში საკვანძო კვლევითი კითხვა ფორმულირდება შემდეგნაირად: **როგორ და რა ფორმით აისახება ჰიბრიდული ომი საქართველოს შიდაპოლიტიკურ პროცესებზე?** სწორედ ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ისახავს მიზნად მოცემული სტატია, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ჰიბრიდული ომის სხვადასხვა კომპონენტზე და მათ გავლენაზე პოლიტიკური დინამიკისა და ინსტიტუციური მდგრადობის მიმართულებით.

შიდაპოლიტიკური პროცესების კონტექსტში, ჰიბრიდული ომი საქართველოს წინაშე აყენებს მრავალმხრივ გამოწვევას. პირველ რიგში, იგი ხელს უწყობს პოლიტიკური პოლარიზაციის გაღრმავებას. მედიის მეშვეობით გავრცელებული დეზინფორმაცია აყალიბებს ორ დაპირისპირებულ ნარატივს,

[297] European External Action Service (EEAS) "*Addressing hybrid threats in the EU and its neighbourhood*" (2022) https://shorturl.at/VGl6p (ბ.ნ. 17.09.2025).
[298] NATO STRATCOM COE "*Hybrid Threats: A Strategic Communications Perspective*" (2020) Riga: NATO Strategic Communications Centre of Excellence https://shorturl.at/GZcSS (ბ.ნ. 17.09.2025).
[299] Makhashvili L. "*Russian Hybrid Warfare in Georgia: Instruments and Implications*" (2021) Georgian Institute of Politics https://shorturl.at/Q4P15 (ბ.ნ. 17.09.2025).

რაც ართულებს საზოგადოებაში საერთო პოლიტიკური დღის წესრიგის ჩამოყალიბებას. ამასთან ერთად, პარტიებს შორის არსებული დაპირისპირება ხშირად გამწვავებულია გარეაქტორების საინფორმაციო კამპანიებით, რომლებიც მიზნად ისახავს ნდობის შერყევას სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ.[300]

ასევე აღსანიშნავია ეკონომიკური ბერკეტების გამოყენება: რუსეთი პერიოდულად მიმართავს სავაჭრო შეზღუდვებსა და ენერგეტიკულ ზეწოლას, რათა საქართველოს პოლიტიკური დღის წესრიგზე გავლენა მოახდინოს. ამგვარი პრაქტიკა განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო 2006 წელს, როდესაც შეწყდა ქართული ღვინისა და მინერალური წყლის ექსპორტი რუსეთში, რამაც ქვეყნის ეკონომიკას სერიოზულად დაარტყა.[301] ეს მაგალითი ცხადყოფს, რომ ჰიბრიდული ომის მექანიზმები არ შემოიფარგლება მხოლოდ საინფორმაციო სივრცით, არამედ მოიცავს ეკონომიკურ და სოციალურ რეალობაზე ზემოქმედებას.

შესავალი გვაძლევს საფუძველს განვიხილოთ, თუ როგორ გამოიყენება ჰიბრიდული ომის სხვადასხვა კომპონენტი საქართველოს შიდაპოლიტიკურ ცხოვრებაში. სწორედ ამ კუთხით მნიშვნელოვანია გაანალიზდეს, თუ როგორ ფორმირდება პოლიტიკური დღის წესრიგი დეზინფორმაციის, ეკონომიკური ზეწოლისა და სამხედრო საფრთხისას და რა გავლენას ახდენს ეს დემოკრატიული ინსტიტუტების მდგრადობაზე. წინამდებარე კვლევაში ყურადღება გამახვილდება როგორც თეორიულ-ანალიტიკურ ჩარჩოზე, ისე კონკრეტულ, საქართველოსთან დაკავშირებულ მაგალითებზე, რომლებიც ცხადყოფს, რომ ჰიბრიდული ომი არა მხოლოდ გარესაფრთხეა, არამედ ღრმად აღწევს ქვეყნის შიდაპოლიტიკურ სიღრმეებს და პირდაპირ ზემოქმედებას ახდენს პოლიტიკური პროცესების ტრანსფორმაციაზე.

[300] Casarini N. "*Disinformation and Democracy: The Impact of Hybrid Threats on Political Systems*" (2019) European Union Institute for Security Studies https://shorturl.at/tV2ee (ბ.ნ. 17.09.2025).
[301] German Marshall Fund (GMF) "*Russia's Economic Leverage in Post-Soviet States*" (2018) https://shorturl.at/3N5it (ბ.ნ. 17.09.2025).

ჰიბრიდული ომის თეორიული გააზრება თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთ ყველაზე დისკუსიურ სფეროდ იქცა. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „ჰიბრიდული ომი“ ჯერ კიდევ 2000-იანი წლების დასაწყისში გამოიყენებოდა, მის ზუსტ განსაზღვრებაზე მკვლევართა შორის სრული კონსენსუსი არ არსებობს[302]. ზოგიერთის აზრით, იგი წარმოადგენს სამხედრო და არასამხედრო ინსტრუმენტების სინთეზს, რომელიც მიზნად ისახავს მოწინააღმდეგის სახელმწიფოებრივი მედეგობის შიგნიდან შესუსტებას[303], მაშინ როცა სხვები მას უფრო ფართო კატეგორიად განიხილავენ, რომელიც მოიცავს ნებისმიერი არაპირდაპირი ზეწოლის მექანიზმებს[304].

არსებობს შეთანხმება იმის თაობაზე, რომ ჰიბრიდული ომი ერთგვარი „ინტეგრირებული სტრატეგიაა“, რომელშიც ერთმანეთს ერწყმის სამხედრო, საინფორმაციო, ეკონომიკური და კიბერუსაფრთხოების ინსტრუმენტები[305]. სამხედრო კომპონენტი მოიცავს არა სრულმასშტაბიან ომს, არამედ დაბალინტენსიურ სამხედრო აქტივობებს, რომლებიც პარალელურად ვითარდება სხვა ზეწოლის ფორმებთან ერთად. საინფორმაციო ომი, თავის მხრივ, მიმართულია საზოგადოების ცნობიერებაზე ზემოქმედებისკენ: დეზინფორმაციის გავრცელება, ნარატივების კონტროლი და საზოგადოებრივი განწყობების მანიპულირება ქმნის ისეთ პირობებს, სადაც სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი ნდობა სუსტდება[306].

ეკონომიკური კომპონენტი, რომელიც მოიცავს ენერგორესურსებით მანიპულაციას, სავაჭრო შეზღუდვებსა და ფინანსურ ზეწოლას, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სახელმწიფოს ეკონომიკურ მდგრადობაზე. ეს ხელს უწყობს არა მხოლოდ ეკონომიკური კრიზისების პროვოცირებას, არამედ პოლიტიკური

[302] Murray W. Mansoor P. “*Hybrid Warfare: Fighting Complex Opponents from the Ancient World to the Present*” Cambridge University Press (2012) https://shorturl.at/uhDzn (ბ.ნ. 22.09.2025).
[303] Hoffman F. G. “*Hybrid Warfare and Challenges”* Joint Force Quarterly (2009) (P. 34-39) https://shorturl.at/2eC19 (ბ.ნ. 22.09.2025).
[304] Galeotti M. “*Hybrid War or Gibridnaya Voina? Getting Russia’s Non-Linear Military Challenge Right”* Mayak Intelligence (2016) https://shorturl.at/UBTe8 (ბ.ნ. 22.09.2025).
[305] “*NATO’s Response to Hybrid Threats*” NATO STRATCOM COE, Riga (2017) https://shorturl.at/EWxjA (ბ.ნ. 22.09.2025).
[306] Pomerantsev P. “*This Is Not Propaganda: Adventures in the War Against Reality”* Faber & Faber (2019) https://shorturl.at/fqa9i (ბ.ნ. 22.09.2025).

გადაწყვეტილებების პროცესში გარეინტერესების გათვალისწინებასაც[307]. კიბერუსაფრთხოების სიბრტყეზე ჰიბრიდული ომი გამოიხატება კრიტიკული ინფრასტრუქტურის წინააღმდეგ მიმართულ კიბერშეტევებში, მონაცემთა გაჟონვებსა და ციფრული დეზინფორმაციის გავრცელებაში[308].

თეორიულ ჩარჩოში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია „მოწყვლადობის“ ცნებას. უსაფრთხოების კვლევები, როგორც მიუთითებენ, ჰიბრიდული ომის წარმატება დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, რამდენად სუსტია სამიზნე სახელმწიფოს პოლიტიკური, ინსტიტუციური და სოციალური სტრუქტურები[309]. სუსტი დემოკრატიული ინსტიტუტები, მაღალი პოლიტიკური პოლარიზაცია და ეკონომიკური დამოკიდებულებები ქმნის იმ პირობებს, სადაც გარეაქტორების მიერ განხორციელებული ზეწოლა გაცილებით ეფექტიანია.

საქართველოს შემთხვევაში სწორედ ეს მოწყვლადობები განსაზღვრავს ჰიბრიდული ომის საფრთხის მასშტაბს. ინსტიტუციური მედეგობის სუსტი დონე, საზოგადოების პოლარიზაცია და ეკონომიკური დამოკიდებულებები რუსეთთან ქმნის გარემოს, სადაც ჰიბრიდული ინსტრუმენტები პირდაპირი გავლენით გამოირჩევა. აქედან გამომდინარე, თეორიული ჩარჩო საშუალებას გვაძლევს, ჰიბრიდული ომი განვიხილოთ არა როგორც მხოლოდ გარესაფრთხე, არამედ როგორც შიდაპოლიტიკური პროცესების ტრანსფორმაციის კატალიზატორი[310].

საქართველოს პოლიტიკური და უსაფრთხოების გარემო ჰიბრიდული ომის თეორიული ჩარჩოს დამახასიათებელ ნიშნებს ნათლად ავლენს. ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობა, ისტორიული დამოკიდებულებები რუსეთთან და დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბების პროცესში არსებული

[307] Rácz A. "*Russia's Hybrid War in Ukraine: Breaking the Enemy's Ability to Resist*" Finnish Institute of International Affairs (2015) https://kntn.ly/ca4ff72d (ბ.ნ. 22.09.2025).
[308] Rid T. "*Active Measures: The Secret History of Disinformation and Political Warfare*" Farrar, Straus and Giroux (2020) https://kntn.ly/f7cf053c (ბ.ნ. 22.09.2025).
[309] Baranovsky V. & Mateiko I. "*Hybrid Threats and the Vulnerability of Small States"* Journal of Strategic Studies (2021) (P. 701-719).
[310] Makhashvili L. "*Russian Hybrid Warfare in Georgia: Instruments and Implications*" (2021) Georgian Institute of Politics https://shorturl.at/Q4P15 (ბ.ნ. 22.09.2025).

სირთულეები ქმნის ისეთ პირობებს, სადაც ჰიბრიდული მრავალი საფრთხე განსაკუთრებით აქტუალური ხდება[311].

1990-იანი წლების დასაწყისიდანვე, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან ერთად, რუსეთმა ჰიბრიდული ზეწოლის მრავალმხრივი მექანიზმები გამოიყენა. 1992-1993 წლების ომში, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, სამხედრო მხარდაჭერის პარალელურად, კრემლი აქტიურად იყენებდა საინფორმაციო პროპაგანდას, რათა საქართველოს შიგნით გაეღრმავებინა ეთნიკური დაპირისპირებები[312]. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი ჰიბრიდული ომის კლასიკური მაგალითი იყო. სამხედრო ინტერვენციას თან ახლდა საინფორმაციო კამპანიები, კიბერშეტევები და საერთაშორისო დონეზე ნარატივების მანიპულაცია[313]. ეს შემთხვევა გახდა არა მხოლოდ ქართული უსაფრთხოების გარემოს გარდამტეხი მოვლენა, არამედ გლობალურ დისკუსიაშიც განამტკიცა ტერმინი „ჰიბრიდული ომი“[314].

საქართველოს ჰიბრიდული მოწყვლადობის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მიმართულებაა საინფორმაციო ომი. რუსული სახელმწიფო მედიასაშუალებები და მათთან დაკავშირებული პლატფორმები სისტემატურად ავრცელებენ დეზინფორმაციას, რომელიც მიზნად ისახავს დასავლური ინტეგრაციის პროცესების დისკრედიტაციას[315]. მაგალითად, „NATO“-სთან თანამშრომლობა ხშირად წარმოჩინდება, როგორც ქვეყნის სუვერენიტეტის დაკარგვის საფრთხე, ხოლო ევროკავშირში ინტეგრაცია, როგორც ტრადიციული ღირებულებების რღვევის წინაპირობა[316]. ამასთან ერთად, პროპაგანდის სტრატეგია მიმართულია არა მხოლოდ გარეპოლიტიკური კურსის წინააღმდეგ, არამედ შიდასაზოგადოებრივი ნდობის შესუსტებისკენ. მიზანმიმართული

[311] Jones S. F. "*Georgia: A Political History Since Independence"* I.B. Tauris (2014) https://kntn.ly/06edc7de (ბ.ნ. 22.09.2025).
[312] Coppieters B. "*The Georgian-Abkhaz Conflict*" Journal on Ethnopolitics and Minority Issues in Europe (2004) https://kntn.ly/65329d6e (ბ.ნ. 22.09.2025).
[313] Hollis D. "*Cyberwar Case Study: Georgia 2008*" Small Wars Journal (2011) https://kntn.ly/3e11c97a (ბ.ნ. 22.09.2025).
[314] Thomas T. "*Russia's Hybrid Warfare and Its Implications*" Military Review (2010) (P. 30-39).
[315] Kintsurashvili T. "*Anti-Western Propaganda in Georgia*" Media Development Foundation (2017) https://kntn.ly/6b12cbd4 (ბ.ნ. 22.09.2025).
[316] Nodia G. "*The Political Landscape of Georgia: Party Politics and Democracy*" Heinrich Böll Stiftung (2016) https://kntn.ly/e4f2e11e (ბ.ნ. 22.09.2025).

დეზინფორმაცია ხშირად იწვევს პოლარიზაციას, რაც ქმნის ნაყოფიერ ნიადაგს პოლიტიკური დესტაბილიზაციისთვის[317].

საქართველოს ენერგეტიკული დამოკიდებულება რუსეთზე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელსაც კრემლი იყენებს როგორც ჰიბრიდული ზეწოლის ინსტრუმენტს. 2006 წელს რუსეთმა რამდენიმე კვირით შეწყვიტა ბუნებრივი აირის მიწოდება საქართველოში, რასაც ქვეყნის შიდაენერგეტიკული კრიზისი მოჰყვა[318]. ანალოგიურად, რუსეთის მხრიდან ღვინისა და მინერალური წყლის იმპორტზე ემბარგო პოლიტიკური ზეწოლის მკაფიო გამოვლინებად იქცა[319]. ეკონომიკური ინსტრუმენტები მხოლოდ სავაჭრო შეზღუდვებით არ შემოიფარგლება. რუსეთში მომუშავე ქართველ მიგრანტთა ფინანსური გადარიცხვები მნიშვნელოვან ბერკეტად იქცა, რადგან კრემლი პერიოდულად მიანიშნებდა ამ არხის დაბლოკვის შესაძლებლობაზე, ეს კი, ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობაზე პირდაპირი ზეგავლენის მქონეა[320].

კიბერუსაფრთხოების თვალსაზრისით, საქართველო არაერთი ფართომასშტაბიანი შეტევის სამიზნე გახდა. 2008 წლის ომის დროს განხორციელებული კიბერშეტევები, რომლებიც საქართველოს მთავრობებისა და მედიაპლატფორმების პარალიზებას ისახავდა მიზნად, საერთაშორისო დონეზე ერთ-ერთ პირველ პრეცედენტად მიიჩნევა[321]. შემდგომ წლებში, კიბერშეტევები პერიოდულად გრძელდებოდა და მიმართული იყო როგორც სახელმწიფო უწყებების, ისე კრიტიკული ინფრასტრუქტურის წინააღმდეგ.

საქართველოს სპეციფიკური შემთხვევა ცხადყოფს, რომ ჰიბრიდული ომის წარმატების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა შიდამოწყვლადობაა. პოლიტიკური პოლარიზაცია, ინსტიტუციური სუსტი მედეგობა და საზოგადოების ღრმა

[317] Pomerantsev P. "*This Is Not Propaganda: Adventures in the War Against Reality"* Faber & Faber (2019) https://shorturl.at/fqa9i (ბ.ნ. 22.09.2025).
[318] Cornell S. E. "*Georgia After the Rose Revolution: Geopolitical Predicament and Implications for U.S. Policy*" Strategic Studies Institute (2007) https://shorturl.at/eQQc4 (ბ.ნ. 22.09.2025).
[319] Delcour L. & Wolczuk K. "*The EU's Unexpected 'Ideal Neighbour'? The Perceptions of Georgia's Europeanisation"* Geopolitics (2015) (P. 552-578).
[320] Ó Beacháin D. "*The Russian Factor in Georgia's Foreign Policy*" Europe-Asia Studies (2019) (P. 1-23).
[321] Deibert R. & Rohozinski, R. "*Cyberspace Under Siege: Estonian and Georgian Cyberattacks*" Journal of International Affairs (2010) (P. 21-24).

დაყოფა ქმნის იმ პირობებს, სადაც გარეზეწოლა უფრო ეფექტიანია[322]. რუსული ჰიბრიდული სტრატეგიები სწორედ ამ მოწყვლადობაზეა მორგებული: ისინი მიზნად ისახავს არა მხოლოდ სახელმწიფოს საგარეო კურსის შეცვლას, არამედ შიდაპოლიტიკური პროცესების დესტაბილიზაციასაც.

საქართველოს შემთხვევაში ჰიბრიდული ომის ანალიზი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მიზეზითაც, რომ ეს ფენომენი აქ მხოლოდ თეორიული კატეგორია არ არის. იგი ყოველდღიური პოლიტიკური პრაქტიკის, საზოგადოებრივი განწყობისა და უსაფრთხოების არქიტექტურის ნაწილად არის ქცეული. სწორედ ამიტომ, საქართველოს მაგალითზე ჰიბრიდული ომის განხილვა საჭიროა არა მხოლოდ საგარეო ზეწოლის ფორმის გასააზრებლად, არამედ იმ მექანიზმის გამოსაკვეთად, რომელიც თანმიმდევრულად ზემოქმედებს სახელმწიფოს სუვერენულ ფუნქციებზე, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესსა და საზოგადოებრივი ერთიანობის ხარისხზე. ასეთ ვითარებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ ჰიბრიდული ზემოქმედება იშვიათად ისახავს მიზნად მხოლოდ ერთჯერად სამხედრო ან პოლიტიკურ ეფექტს. გაცილებით ხშირად იგი ორიენტირებულია ხანგრძლივი სტრატეგიული გარემოს შექმნაზე, სადაც სამიზნე სახელმწიფო თანდათან კარგავს წინააღმდეგობის უნარს, ხოლო საზოგადოებაში იზრდება უნდობლობა, აპათია და პოლიტიკური ფატალიზმი. სწორედ ეს განასხვავებს ჰიბრიდულ ომს კლასიკური ომისგან. მისი მთავარი შედეგი არ არის ტერიტორიების ფიზიკური კონტროლი, არამედ სახელმწიფოს შიგნით სუვერენული პოლიტიკური ნების თანდათანობითი დასუსტება.[323]

ჰიბრიდული ზეწოლის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი მიმართულება ქართულ რეალობაში საინფორმაციო გარემოს მიზანმიმართული ექსპლუატაციაა. ამ პროცესში მთავარი სამიზნე მხოლოდ კონკრეტული პოლიტიკური გადაწყვეტილება კი არ არის, არამედ თავად რეალობის აღქმის ჩარჩო. რუსული

[322] Makhashvili L. "*Russian Hybrid Warfare in Georgia: Instruments and Implications*" (2021) Georgian Institute of Politics https://shorturl.at/Q4P15 (ბ.ნ. 22.09.2025).

[323] Bolkvadze, N., Chachava, K., Ghvedashvili, G., Lange-Ionatamišvili, E., McMillan, J., Kalandarishvili, N., Kuprashvili, N., Sharashenidze, T., Tsomaia, T. "*Georgia's Information Environment through the Lens of Russia's Influence.*" Riga: NATO Strategic Communications Centre of Excellence, 2021. https://shorturl.at/rPiMg (ბ.ნ. 30.03.2026).

და პრორუსული ნარატივები საქართველოში, როგორც წესი, რამდენიმე განმეორებად სქემაზეა აგებული. დასავლეთი წარმოდგენილია, როგორც არასტაბილურობის წყარო, ევროკავშირი, როგორც ეროვნული და რელიგიური იდენტობისთვის საფრთხის მატარებელი სივრცე, „NATO“, როგორც ომის რისკის გამზრდელი მექანიზმი, ხოლო ლიბერალური დემოკრატია, როგორც საზოგადოების ტრადიციული სტრუქტურების დაშლის წინაპირობა. ამ ნარატივების ძალა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი პირდაპირ სამხედრო რიტორიკას იშვიათად მიმართავენ, უფრო ხშირად იყენებენ იდენტობის, ღირსების, ტრადიციისა და უსაფრთხოების ენას. შედეგად, დეზინფორმაცია არ შემოიფარგლება ტყუილის გავრცელებით, იგი ალტერნატიულ პოლიტიკურ ცნობიერებას ქმნის, სადაც დასავლური ინტეგრაცია აღარ ჩანს როგორც განვითარების პროექტი, არამედ როგორც შინაგანი სტაბილურობისთვის საფრთხე. სწორედ ამგვარი ინფორმაციული მოქმედება ამძაფრებს საზოგადოებრივ პოლარიზაციას და ამცირებს ეროვნული კონსენსუსის შესაძლებლობას იმ საკითხებზეც კი, რომლებიც ფორმალურად სტრატეგიულად შეთანხმებულ კურსად ითვლება.[324]

საქართველოს პოლიტიკური პოლარიზაცია ამ პროცესში ცენტრალური ცვლადია. ჰიბრიდული ომი ყველაზე ეფექტიანად მოქმედებს იქ, სადაც საზოგადოება დაყოფილია არა მხოლოდ პოლიტიკურ გემოვნებათა მიხედვით, არამედ ერთმანეთის ლეგიტიმურობის უარყოფის დონემდე. ასეთ გარემოში სახელმწიფო ინსტიტუტები კარგავენ შუამავლის როლს, არჩევნები აღიქმება როგორც ეგზისტენციალური ბრძოლა და ნებისმიერი პოლიტიკური კრიზისი ადვილად შეიძლება გადაიქცეს საგარეო ზემოქმედების გამტარ არხად. სწორედ ამიტომ, ევროპული ინსტიტუტები საქართველოს მიმართ არაერთხელ უსვამენ ხაზს, რომ პოლიტიკური დეპოლარიზაცია, ინსტიტუციური დამოუკიდებლობა, უსაფრთხოების სამსახურებზე საპარლამენტო ზედამხედველობა და დეზინფორმაციასთან ბრძოლა ერთმანეთთან კავშირში მყოფი ამოცანებია. ეს მიდგომა მნიშვნელოვანია, რადგან იგი აჩვენებს, რომ ჰიბრიდული საფრთხე არ

[324] European Union Monitoring Mission in Georgia (EUMM). *About Us*. https://www.eumm.eu/en/about_eumm (ბ.ნ. 30.03.2026).

არის მხოლოდ თავდაცვის ან სპეცსამსახურების პრობლემა, იგი სახელმწიფო მმართველობის ხარისხის, პოლიტიკური კონკურენციის წესებისა და ინსტიტუციური ნდობის პრობლემაც არის. იმ პირობებში, როდესაც პოლიტიკური ოპონენტი ხშირად მტრის სინონიმად აღიქმება, გარეაქტორი თითქმის მზა ნიადაგზე ოპერირებს.

ამ სურათს ემატება საზოგადოებრივი განწყობების ორმაგი ხასიათი. ერთი მხრივ, საქართველოს მოქალაქეების მნიშვნელოვანი უმრავლესობა წლების განმავლობაში მხარს უჭერდა ევროკავშირსა და „NATO“-ში ინტეგრაციას, მეორე მხრივ კი, ამ მხარდაჭერის პარალელურად იზრდებოდა უნდობლობა დემოკრატიული განვითარების ხარისხის, ინსტიტუტების ეფექტიანობისა და პოლიტიკური ელიტის მიმართ. სწორედ ეს წინააღმდეგობრივი მდგომარეობაა ჰიბრიდული აქტორისთვის განსაკუთრებით ხელსაყრელი. საზოგადოება, როდესაც პროევროპულია, მაგრამ საკუთარი პოლიტიკური სისტემის მიმართ სკეპტიკური, შესაძლებელია შეიქმნას ნარატივი, რომლის მიხედვითაც პრობლემა თითქოს დასავლური არჩევანი კი არ არის, არამედ მისი „არასწორი განხორციელება“, „გარედან თავსმოხვეული წესები“ ან „ეროვნული ინტერესების უგულებელყოფაა“. „NDI“-ის მონაცემებიც ადასტურებდა, რომ ევროკავშირის წევრობის მხარდაჭერა საქართველოში ძლიერი იყო, თუმცა ერთდროულად დიდი იყო იმ მოქალაქეთა რაოდენობაც, ვინც მიიჩნევდა, რომ ქვეყანა დემოკრატიული არ არის. ასეთი აზრთა სხვადასხვაობა ჰიბრიდული სტრატეგიისთვის სასურველ გარემოს ქმნის, რადგან იგი საზოგადოებაში იმედგაცრუებას გეოპოლიტიკური ორიენტაციის მიმართ ეჭვად გარდაქმნის.[325]

ქართულ რეალობაში ჰიბრიდული ომის ეფექტიანობას ხელს უწყობს იდენტობის პოლიტიკის ინსტრუმენტალიზაცია. რუსეთისა და მასთან თანხვედრაში მოქმედი საინფორმაციო ქსელების ერთ-ერთი ყველაზე მდგრადი ხაზი სწორედ „ტრადიციული ღირებულებების დაცვის“ სახელით დასავლეთის წინააღმდეგ საზოგადოებრივი მობილიზაციაა. ამ სტრატეგიის თავისებურება ისაა, რომ იგი უსაფრთხოების საკითხს კულტურულ და ცივილიზაციურ ენაზე

[325] Georgian Institute of Politics. “*Media Polarization.*” Tbilisi, 2024 https://shorturl.at/DZBzj (ბ.ნ. 30.03.2026).

თარგმნის. შედეგად, საგარეო პოლიტიკის არჩევანი აღარ განიხილება როგორც ინსტიტუციური, ეკონომიკური ან თავდაცვითი განვითარების საკითხი, იგი წარმოჩნდება როგორც ღირებულებითი კონფლიქტი „ეროვნულსა“ და „უცხოს“ შორის. ეს ნარატივები განსაკუთრებით ეფექტიანია იმ საზოგადოებებში, სადაც სოციალური პრობლემები, ეკონომიკური დაუცველობა და პოლიტიკური იმედგაცრუება დიდია. ასეთ დროს ანტიდასავლური გზავნილი ხშირად არა პირდაპირი პრორუსული მოწოდების, არამედ „ნეიტრალიტეტის“, „პრაგმატიზმის“, „ტრადიციული წესრიგის დაცვის“ ან „უცხო გავლენისგან თავდაცვის“ სახელით ვრცელდება. სწორედ ამგვარი დისკურსული გარდასახვა ხდის ჰიბრიდულ გავლენას რთულად ამოსაცნობს. იგი საკუთარ თავს ეროვნული დაცვის ენით ფუთავს, მაშინ, როცა რეალურად საზოგადოების სტრატეგიული ორიენტაციის დეზორგანიზაციას ემსახურება.[326]

დასკვნა

ჰიბრიდული ომი საქართველოს რეალობაში უკვე არა თეორიული, არამედ პრაქტიკული გამოწვევაა, რომელმაც მკაფიო კვალი დატოვა ქვეყნის შიდაპოლიტიკური პროცესებზე. საქართველოს შემთხვევა გვიჩვენებს, რომ ჰიბრიდული ინსტრუმენტების გამოყენება მრავალმხრივად მოქმედებს. საინფორმაციო მანიპულაციები ქმნის ნიადაგს პოლიტიკური პოლარიზაციის გაღრმავებისათვის, ეკონომიკური ბერკეტები ზემოქმედებს სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებების მიღებაზე, ხოლო კიბერუსაფრთხოების საფრთხე ამცირებს ინსტიტუციურ მედეგობას.

პასუხი საკვლევ კითხვაზე – **როგორ აისახება ჰიბრიდული ომი საქართველოში მიმდინარე შიდაპოლიტიკურ პროცესებზე?** გვიჩვენებს კომპლექსურ სურათს. ერთი მხრივ, დეზინფორმაციისა და პროპაგანდის კამპანიები მნიშვნელოვნად ამცირებს ნდობას სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი და აფერხებს საზოგადოებრივი კონსენსუსის ჩამოყალიბებას. მეორე მხრივ, ეკონომიკური და ენერგეტიკული ზეწოლა პირდაპირ აისახება პოლიტიკურ დღის

[326] National Democratic Institute (NDI). “*Taking Georgians’ Pulse: Findings from August 2022 Face-to-Face Survey*” 16 September 2022. https://shorturl.at/ANAqY (გ.ნ. 30.03.2026).

წესრიგზე, რაც ხელისუფლებისთვის საგარეო და საშინაო გადაწყვეტილებების მიღებისას დამატებით შეზღუდვებს ქმნის. საბოლოოდ, ეს გარემოებები აჩენს სისტემურ კრიზისს, სადაც პოლიტიკური პროცესები ხდება არა განვითარებისა და კონსოლიდაციის, არამედ მუდმივი დესტაბილიზაციის ობიექტი. ამავდროულად, საქართველოს შიდამოწყვლადობა, დიდი პოლიტიკური პოლარიზაცია, პარტიული სისტემის ხარვეზები და საზოგადოების ღრმა დაყოფა ის საყრდენი ბაზაა, რომელზეც გარეზეწოლა ყველაზე ეფექტიანად მუშაობს. ეს გარემოება კიდევ უფრო ამძაფრებს ჰიბრიდული არაერთი საფრთხის შედეგებს და დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას დროებით პროცესად აქცევს.

ამ პირობებში, საქართველოსთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მედეგობის სისტემურ გაძლიერებას. ეს მოიცავს კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვას, საინფორმაციო სივრცის გამჭვირვალობას, განათლებისა და მედიაგრამოტულობის მხარდაჭერას, ასევე პოლიტიკური პროცესების ისეთი მოდელირების წახალისებას, რომელიც მინიმუმამდე დაიყვანს საზოგადოებრივი დაპირისპირების ეფექტებს. მხოლოდ ამ გზით იქნება შესაძლებელი გარეზეწოლის შეზღუდვა და შიდაპოლიტიკური პროცესების ისეთი სტაბილიზაცია, რომელიც დემოკრატიული განვითარების მდგრადობას უზრუნველყოფს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბდალაძე გ. – „რბილი ძალა საერთაშორისო ურთიერთობებში“ (2020);
2. ავალიშვილი ლ., ლომთაძე გ., ქევხიშვილი ს.– „კრემლის საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ: პროპაგანდასთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებლობა“ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (2016);
3. კინწურაშვილი თ. – „ანტიდასავლური დეზინფორმაცია“ (2020);
4. ლაჩაშვილი ი., მამულაძე ნ., ნაროუშვილი დ. – „ანტიდასავლური დეზინფორმაცია წინასაარჩევნო პერიოდში“, პარტნიორობა ღია ინფორმაციისთვის „OIP“ (2020);
5. ლეჟავა ნ. – „დეზინფორმაციის გავრცელება და ანტიდასავლური პროპაგანდა – თანამედროვე გამოწვევები და სამართლებრივი რეგულაციები“, საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრი (2022);

6. ტუღუში ლ. – „რუსეთის ხისტი და რბილი ძალის საფრთხეები საქართველოში“, „The German Marshal Fund of the United States“ (2016);
7. ცეცხლაძე ს., „დეზინფორმაციის გავრცელება საქართველოში – სახელმწიფოს მიდგომა ბრძოლის გზები“ (2023);
8. ჭიჭინაძე რ., „პროპაგანდის ფორმები სამაუწყებლო მედიაში“ (2015);
9. ხიდაშელი თ., „მეორე მსოფლიო ომიდან კიბერომამადე – როგორ მოვიგოთ საინფორმაციო ომი“, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი (2017);
10. Baranovsky V. & Mateiko I. "*Hybrid Threats and the Vulnerability of Small States"* Journal of Strategic Studies (2021) (P. 701-719);
11. Casarini N. "*Disinformation and Democracy: The Impact of Hybrid Threats on Political Systems*" (2019) European Union Institute for Security Studies https://shorturl.at/tV2ee (ბ.ნ. 17.09.2025);
12. Coppieters B. "*The Georgian-Abkhaz Conflict*" Journal on Ethnopolitics and Minority Issues in Europe (2004) https://kntn.ly/65329d6e (ბ.ნ. 22.09.2025);
13. Cornell S. E. "*Georgia After the Rose Revolution: Geopolitical Predicament and Implications for U.S. Policy*" Strategic Studies Institute (2007) https://shorturl.at/eQQc4 (ბ.ნ. 22.09.2025);
14. Deibert R. & Rohozinski, R. "*Cyberspace Under Siege: Estonian and Georgian Cyberattacks*" Journal of International Affairs (2010) (P. 21-24);
15. Delcour L. & Wolczuk K. "*The EU's Unexpected 'Ideal Neighbour'? The Perceptions of Georgia's Europeanisation"* Geopolitics (2015) (P. 552-578);
16. European External Action Service (EEAS) "Addressing hybrid threats in the EU and its neighbourhood" (2022) https://shorturl.at/VGl6p (ბ.ნ. 17.09.2025);
17. European Union Monitoring Mission in Georgia (EUMM). *About Us*. https://www.eumm.eu/en/about_eumm (ბ.ნ. 30.03.2026);
18. Galeotti M. "*Hybrid War or Gibridnaya Voina? Getting Russia's Non-Linear Military Challenge Right"* Mayak Intelligence (2016) https://shorturl.at/UBTe8 (ბ.ნ. 22.09.2025);
19. German Marshall Fund (GMF) "*Russia's Economic Leverage in Post-Soviet States*" (2018) https://shorturl.at/3N5it (ბ.ნ. 17.09.2025);
20. Georgian Institute of Politics. "*Media Polarization*." Tbilisi, 2024 https://shorturl.at/DZBzj (ბ.ნ. 30.03.2026).
21. Hoffman F. G "Conflict in the 21st Century: The Rise of Hybrid Wars" (2007) Arlington: Potomac Institute for Policy Studies;
22. Hoffman F. G. "*Hybrid Warfare and Challenges"* Joint Force Quarterly (2009) (P. 34-39) https://shorturl.at/2eC19 (ბ.ნ. 22.09.2025);
23. Hollis D. "*Cyberwar Case Study: Georgia 2008*" Small Wars Journal (2011) https://kntn.ly/3e11c97a (ბ.ნ. 22.09.2025);

24. Jones S. F. "*Georgia: A Political History Since Independence"* I.B. Tauris (2014) https://kntn.ly/06edc7de (ბ.ნ. 22.09.2025);
25. Kintsurashvili T. "*Anti-Western Propaganda in Georgia*" Media Development Foundation (2017) https://kntn.ly/6b12cbd4 (ბ.ნ. 22.09.2025);
26. Makhashvili L. "*Russian Hybrid Warfare in Georgia: Instruments and Implications*" (2021) Georgian Institute of Politics https://shorturl.at/Q4P15 (ბ.ნ. 17.09.2025);
27. Murray W. Mansoor P. "*Hybrid Warfare: Fighting Complex Opponents from the Ancient World to the Present*" Cambridge University Press (2012) https://shorturl.at/uhDzn (ბ.ნ. 22.09.2025);
28. National Democratic Institute (NDI). "*Taking Georgians' Pulse: Findings from August 2022 Face-to-Face Survey*" 16 September 2022. https://shorturl.at/ANAqY (ბ.ნ. 30.03.2026);
29. "*NATO's Response to Hybrid Threats*" NATO STRATCOM COE, Riga (2017) https://shorturl.at/EWxjA (ბ.ნ. 22.09.2025);
30. NATO STRATCOM COE "Hybrid Threats: A Strategic Communications Perspective" (2020) Riga: NATO Strategic Communications Centre of Excellence https://shorturl.at/GZcSS (ბ.ნ. 17.09.2025);
31. Nodia G. "*The Political Landscape of Georgia: Party Politics and Democracy*" Heinrich Böll Stiftung (2016) https://kntn.ly/e4f2e11e (ბ.ნ. 22.09.2025);
32. Ó Beacháin D. "*The Russian Factor in Georgia's Foreign Policy*" Europe-Asia Studies (2019) (P. 1-23);
33. Pomerantsev P. "*This Is Not Propaganda: Adventures in the War Against Reality"* Faber & Faber (2019) https://shorturl.at/fqa9i (ბ.ნ. 22.09.2025);
34. Rácz A. "*Russia's Hybrid War in Ukraine: Breaking the Enemy's Ability to Resist*" Finnish Institute of International Affairs (2015) https://kntn.ly/ca4ff72d (ბ.ნ. 22.09.2025);